



შენაბავისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბეკიძე“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე


11 იანვარი 2019 წელი

N 9/36

ეგზ. N1

სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის მიერ 2015-2017 წლებში
განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური
აქტივებით ოპერაციების შესაბამისობის აუდიტი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები.....	4
შესავალი	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი.....	10
აუდიტის მეთოდოლოგია.....	10
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	10
აუდიტის მიგნებები.....	14
უძრავი ქონების განკარგვა	14
<i>გამოყენებული ფართები.....</i>	14
<i>იჯარა.....</i>	14
სახელმწიფო შესყიდვები	16
<i>ზოგადი ინფორმაცია</i>	16
<i>თეატრის მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოების შესყიდვა.....</i>	16
მივლინებები.....	21
წარმომადგენლობითი ხარჯები	22
საწვავი	23
კონტროლის სისუსტეები.....	24
<i>ინვენტარიზაცია</i>	24
<i>სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება.....</i>	25
<i>ე.წ. „ფარული სამუშაოები“.....</i>	27
<i>შრომის ანაზღაურება.....</i>	27
<i>თეატრისა და კინოს ენციკლოპედიები</i>	28

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

უნივერსიტეტი – სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამინისტრო – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების (01.01.2015 – 01.01.2018 პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

1. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირის N23-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებულ 176.1 კვ.მ და ამავე შენობის მეორე სართულზე მდებარე 453.5 კვ.მ ფართს წლების განმავლობაში უსასყიდლოდ ფლობს და განკარგავს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. უნივერსიტეტის მიერ არ ხორციელდება აღნიშნულ ფართებზე ფაქტობრივი კონტროლი და შედეგად, ისინი არ გამოიყენება ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საქმიანობაში სარგებლის მიღების მიზნით.
2. კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შპს „მწიგნობარი“ დროებით ფლობდა და ეკონომიკურ საქმიანობაში იყენებდა დავით აღმაშენებლის გამზირის N40-ში (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი) მდებარე შენობის სარდაფის სართულზე არსებულ, უნივერსიტეტის კუთვნილ 79.5 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართს, რაც შეიცავს საბაზრო პირობების შესაბამისი საიჯარო ქირის მიხედვით მიუღებელი შემოსავლის რისკს. ამასთანავე, უნივერსიტეტის მიერ ანაზღაურებულია აღნიშნული ფართის მიხედვით შპს „მწიგნობრის“ მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში მოხმარებული კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგია, წყალი) ხარჯი.
3. 2016 წლის 6 ივნისს უნივერსიტეტმა დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოების შესასყიდად გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. მოცემულ სატენდერო პროცედურებში არსებულმა ნაკლოვანებებმა გაზარდა სატენდერო მოთხოვნების ერთ კონკრეტულ კომპანიაზე მორგების რისკი და შედეგად გამოიწვია მაღალი ფასის წინადადების წარმოდგენი კომპანიის გამარჯვება.
4. უნივერსიტეტის მიერ ქვეყნის გარეთ მივლინებული პირებისათვის, ზედმეტად და ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე გაცემულია 8,780.70 ლარი.
5. უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც მოხდებოდა 4,295.00 ლარის ღირებულების სასტუმროს მომსახურების ხარჯის მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების და მასში მონაწილე პირების იდენტიფიცირება, ასევე სტუმრების მიღების, ოფიციალური სადილის, წვეულებისა და ღონისძიებების

დანიშნულებით გახარჯულ 15,626.64 ლარზე არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძვლები.

6. შესაბამისი დასაბუთებისა და საფუძვლის გარეშე გამოვლინდა დადგენილი ლიმიტის ზევით საწვავის ხარჯვის ფაქტები.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1.

უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საქმიანობაში ქონების გამოყენების მიზნით, განხორციელდეს ბალანსზე არსებულ ქონებაზე ფაქტობრივი კონტროლი, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმის შექმნით და სხვა პირზე სასყიდლიან სარგებლობაში ქონების გადაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული საბაზრო პირობების შესაბამისი სარგებლით.

რეკომენდაცია N2.

ჯანსაღი კონკურენციის და სატენდერო პროცედურებში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და შესყიდვის საგნის პარამეტრების მიმართ – პროპორციული. შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა ეტაპზე ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისა და თავის არიდების მიზნით, შემუშავდეს ქმედითი კონტროლის მექანიზმები.

რეკომენდაცია N3.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების შემუშავებით და მათ ეფექტიან ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით, უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის გარეთ მივლინებულ პირებზე სამივლინებო თანხების კანონშესაბამისი ხარჯვა. ამასთანავე, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ზედმეტად ანაზღაურებული სამივლინებო თანხების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე აღდგენას.

რეკომენდაცია N4.

- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავდეს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის საერთო წესი, სადაც აღწერილი იქნება მოცემული ხარჯის თითოეული ელემენტის მიხედვით პროცესები და კონტროლის მექანიზმები. გამოცდილების და სანიმუშო პრაქტიკის გათვალისწინებით დადგინდეს ცალკეული სახის ხარჯების ზედა ზღვარი, რომელიც რანჟირებული იქნება სტუმრის სტატუსის, ღონისძიების მნიშვნელობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;
- თითოეული წარმომადგენლობითი ღონისძიების მიხედვით შედგენილ იქნეს დეტალური ე.წ. პროტოკოლი და განხორციელდეს ამ პროტოკოლის მიხედვით გაწეული ღონისძიებების იდენტიფიცირება-დოკუმენტირება, რათა მიღწეულ იქნეს მოცემული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული ხარჯების რაციონალურ და კანონშესაბამის ხარჯვაზე გონივრული რწმუნების მიღება.

რეკომენდაცია N5.

ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების დანერგვით უზრუნველყოფილ იქნეს საწვავის ხარჯვის მიზნობრიობა და შესაბამისობა.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. უნივერსიტეტი ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა უნივერსიტეტის მიერ 2015-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციები.

აუდიტის კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის N302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის N326 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი

სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება N1-1/172 „სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 05 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/91 ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ – „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 31 მარტის N44 სხდომის დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია – რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:


- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი);
- და სხვა მეთოდები.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

უნივერსიტეტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹ შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ, რომელიც სახელმწიფო კონტროლით (სამინისტრო)

¹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N367 დადგენილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი 203851028) გარდაქმნის (რეორგანიზაციის) შესახებ“.

სქემა N1. უნივერსიტეტის სტრუქტურა



2015-2017 წლების ბიუჯეტის და ფაქტობრივი ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილებში:

ცხრილი N1. ბიუჯეტი (ლარებში)

დასახელება	2015		2016		2017		სულ:	
	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი
ხარჯები	2,126,827	1,797,566	2,580,087	1,651,343	2,880,600	2,601,000	7,587,514	6,049,909
შრომის ანაზღაურება	1,876,113	104,211	2,180,675	126,345	2,128,800	61,200	6,185,588	291,756
საქონელი და მომსახურება	239,014	1,627,462	345,884	1,457,543	721,486	2,423,850	1,306,384	5,508,855
გრანტები	11,700		12,300		12,154		36,154	-
სხვადასხვა ხარჯები		65,893	41,103	1,035	18,160	5,951	59,263	72,879
სოციალური უზრუნველყოფა			125	66,420		110,000	125	176,420
არაფინანსური აქტივების ზრდა	250,708	100,000	669,031	2,859,323	102,617	211,000	1,022,356	3,170,323
ვალდებულებების კლება		26,434		3,334			-	29,768
სულ:	2,377,535	1,924,000	3,249,118	4,514,000	2,983,217	2,812,000	8,609,870	9,250,000

ცხრილი N 2. ფაქტობრივი ხარჯი (ლარებში)

დასახელება	2015		2016		2017		სულ:	
	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი
ხარჯები	2,125,296	1,530,868	2,577,499	1,397,562	2,880,362	1,199,950	7,583,157	4,128,380
შრომის ანაზღაურება	1,876,112	104,172	2,180,675	85,156	2,128,798	48,965	6,185,585	238,293
საქონელი და მომსახურება	239,014	1,360,804	345,684	1,249,545	721,251	1,091,112	1,305,949	3,701,461
გრანტები	10,170		11,702		12,153		34,026	-
სხვადასხვა ხარჯები		65,892	39,313	1,035	18,160	5,951	57,473	72,878
სოციალური უზრუნველყოფა			125	61,826		53,922	125	115,749
არაფინანსური აქტივების ზრდა	250,200	8,342	657,269	2,545,493	101,959	7,262	1,009,428	2,561,097
ვალდებულებების კლება		26,299		3,333			-	29,632
სულ:	2,375,495	1,565,508	3,234,768	3,946,388	2,982,321	1,207,212	8,592,585	6,719,109

2016 წელს მნიშვნელოვანად გაზრდილია არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი. აღნიშნული გამოწვეული იყო მოცემულ წელს განსახორციელებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებით. მოცემულ მუხლში საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების 87%-ს (585,000.00 ლარი) შეადგენდა დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოები, ხოლო საკუთარი სახსრებით არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის 88%-ს (2,514,031.88 ლარი) შეადგენდა უნივერსიტეტის I კორპუსის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის წყარო უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი სსიპ – კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ, პროექტ CHECK IN GEORGIA-ს ფარგლებში, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები იყო.

2015-2017 წლების ბიუჯეტის შესრულების საერთო მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი N 3. ბიუჯეტის შესრულება (ლარებში)

დასახელება	ბიუჯეტი		შესრულება		%		მთლიანი ბიუჯეტი	მთლიანი ხარჯი	%
	სახ.	საკუთარი	სახ.	საკუთარი	სახ.	საკუთ.			
ხარჯები	7,587,514	6,049,909	7,583,157	4,128,380	100%	68%	13,637,423	11,711,537	86%
შრომის ანაზღაურება	6,185,588	291,756	6,185,585	238,293	100%	82%	6,477,344	6,423,878	99%
საქონელი და მომსახურება	1,306,384	5,508,855	1,305,949	3,701,461	100%	67%	6,815,239	5,007,410	73%
გრანტები	36,154	-	34,026	-	94%	-	36,154	34,026	94%
სხვადასხვა ხარჯები	59,263	72,879	57,473	72,878	97%	100%	132,142	130,350	99%
სოციალური უზრუნველყოფა	125	176,420	125	115,749	100%	66%	176,545	115,874	66%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,022,356	3,170,323	1,009,428	2,561,097	99%	81%	4,192,679	3,570,525	85%
ვალდებულებების კლება	-	29,768	-	29,632	0%	100%	29,768	29,632	100%
სულ:	8,609,870	9,250,000	8,592,585	6,719,109	100%	73%	17,859,870	15,311,693	86%

2015-2017 წლებში საკუთარი შემოსავლებით გაწეული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ხასიათდება კლების ტენდენციით და შესრულება შეადგენს საბიუჯეტო პარამეტრის 73%-ს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (64 %), თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ საკუთრივ უნივერსიტეტის მიერ გამომუშავებულ შემოსავალს.² აღნიშნულის მიზეზია ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლის ზედმეტად ოპტიმისტური საბიუჯეტო პარამეტრის განსაზღვრა. წლების მიხედვით საკუთარი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრი ზრდადია, ხოლო მისი ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საკუთარი შემოსავლების პარამეტრის განსაზღვრა არ ეფუძნება ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზს და აქედან გამომდინარე, რაციონალურ პროგნოზს. ამასთანავე, უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება მთლიან შემოსავლებში საბიუჯეტო სახსრებისა და საკუთარი შემოსავლების თანაფარდობის მაჩვენებელი: 2015 წელს ის იყო 60/40, ხოლო 2017 წელს – 71/29. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სასწავლო გრანტს განვიხილავთ საბიუჯეტო დაფინანსების ელემენტად, მაშინ თანაფარდობა გაცილებით უარესია.

² არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რეაბილიტაციის თანხა – 2,514,031.88 ლარი.

აუდიტის მიგნებები

უძრავი ქონების განკარგვა

გამოყენებული ფართები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და უნივერსიტეტს შორის 2006 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, უნივერსიტეტს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირის N23-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 176.1 კვ.მ და ამავე შენობის მეორე სართულზე მდებარე 453.5 კვ.მ ფართი. შესაბამისად, აღნიშნულ ქონებაზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა უნივერსიტეტის სანივთო უფლება – სარგებლობა.³ მოცემულ ფართებს უსასყიდლოდ ფლობს და განკარგავს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

დასკვნა

უნივერსიტეტის მიერ არ ხორციელდება აღნიშნულ ფართებზე ფაქტობრივი კონტროლი და შედეგად, ისინი არ გამოიყენება ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საქმიანობაში სარგებლის მიღების მიზნით. ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ ალტერნატიულ სახეობაში გამოყენების, კერძოდ, სასყიდლიან სარგებლობაში აღნიშნული ფართების გაცემის გზით შესამოწმებელ პერიოდში უნივერსიტეტს შეეძლო მიეღო 489,689.00 ლარის⁴ შემოსავალი.

იჯარა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში იჯარით გაცემა ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს და ქონების მმართველის თანხმობით საჯარო აუქციონის საფუძველზე ჩამოყალიბებული საიჯარო ქირის ოდენობით.⁵

³ ს/კ: 01.15.04.017.002.

⁴ გაანგარიშება გაკეთებულია უნივერსიტეტსა და შპს „რონიკოს“ შორის 2015 წლის 7 სექტემბრის N1 ხელშეკრულებით.

⁵ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანება „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

უნივერსიტეტსა და შპს „მწიგნობარს“ შორის 2010 წელს გაფორმდა ხელშეკრულება⁶ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის N40-ში (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი) მდებარე შენობის სარდაფის სართულზე არსებული 79.5 კვ.მ ფართის ორი წლის ვადით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ვადის გასვლის (2012 წლის 1 აგვისტო) შემდგომ, შპს „მწიგნობარი“ 2015 წლის ოქტომბრის ბოლომდე კომერციული საქმიანობისათვის კვლავ განაგრძობდა ზემოაღნიშნული ფართის გამოყენებას და საიჯარო ქირას იხდიდა ძალადაკარგული ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცავს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ქონების სარგებლობაში არსებობის პერიოდში (2012 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 1 ნოემბრამდე) ჩამოყალიბებული საბაზრო პირობების შესაბამისი საიჯარო ქირის მიხედვით მიუღებელი შემოსავლის რისკს. ამასთანავე, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად,⁷ დამქირავებელი მოვალე იყო გადაეხადა კომუნალური გადასახადები (ელ. ენერგია, წყალი). ქონების დროებით სარგებლობაში არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა შპს „მწიგნობრის“ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის და წყლის აღრიცხვა-გამიჯვნა და მისი ღირებულების ანაზღაურება ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიერ.

დასკვნა

2012 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შპს „მწიგნობარი“ დროებით სარგებლობაში ფლობდა და ეკონომიკურ საქმიანობაში იყენებდა დავით აღმაშენებლის გამზირის N40-ში (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი) მდებარე შენობის, სარდაფის სართულზე არსებულ, უნივერსიტეტის კუთვნილ 79.5 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართს, რაც შეიცავს მოცემულ პერიოდში ჩამოყალიბებული საბაზრო პირობების შესაბამისი საიჯარო ქირის მიხედვით მიუღებელი შემოსავლის რისკს. ამასთანავე, სახელშეკრულებო პირობების შეუსაბამოდ, უნივერსიტეტმა აღნიშნულ ფართზე გასწია კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგია, წყალი) ხარჯი.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საქმიანობაში ქონების გამოყენების მიზნით, განხორციელდეს მის ბალანსზე არსებულ ქონებაზე ფაქტობრივი

⁶ 2010 წლის 27 ივლისს უნივერსიტეტსა და შპს „მწიგნობარს“ შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება.

⁷ 2010 წლის 27 ივლისს უნივერსიტეტსა და შპს „მწიგნობარს“ შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების §4, პუნქტი 2.

კონტროლი, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმის შექმნით და სხვა პირზე სასყიდლიან სარგებლობაში ქონების გადაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საფუძველზე საბაზრო პირობების შესაბამისი სარგებლით.

სახელმწიფო შესყიდვები

ზოგადი ინფორმაცია

2015-2017 წლებში უნივერსიტეტმა 914 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა 4,619,060.18 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის, ელექტრონული ტენდერით – 1,512,076.04 ლარის, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით – 82,857.13 ლარის, ხოლო გამარტივებული შესყიდვების საშუალებით – 3,024,127.01 ლარის შესყიდვა. აღნიშნულ პერიოდში გამოცხადდა 32 ელ. ტენდერი, მათ შორის, უარყოფითი შედეგით დასრულდა – 2, არ შედგა – 5, შეწყდა – 1 ტენდერი.

შესამოწმებელ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის მონაცემები შემდეგნაირია:

ცხრილი N4. ინფორმაცია შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილებების შესახებ

წელი	თავდაპირველი გეგმა (ლარი)	ცვლილებების რაოდენობა	საბოლოო გეგმა (ლარი)
2015	687,140.00	85	1,318,786.00
2016	2,398,455.00	53	3,192,494.00
2017	796,902.00	72	956,929.00

გეგმაში განხორციელებული ხშირი ცვლილებები და კორექტირებები განპირობებული იყო დაგეგმვაში არსებული სისუსტეებით, კერძოდ, მიღებული ინფორმაციით, 2015-2017 წლებში შესყიდვების გეგმის შედგენა ხორციელდებოდა მხოლოდ წინა წლის ფაქტობრივი პარამეტრების გათვალისწინებით და არ იყო გათვალისწინებული საგეგმო წლის საჭიროებები.⁸

თეატრის მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოების შესყიდვა

2016 წლის 6 ივნისს შოთა რუსთაველის გამზ. N19-ში მდებარე დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის (შემდგომ – თეატრი) მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა ელექტრონული

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

ტენდერი,⁹ სავარაუდო ღირებულებით – 585,000.00 ლარი. ტენდერში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი: შპს „შოუ ტექნიკ ცენტრი“ და შპს „თბილი სახლი“.

ცხრილი N5. სატენდერო წინადადებები (ლარებში)

პრეტენდენტი	შპს „შოუ ტექნიკ ცენტრი“	შპს „თბილი სახლი“	სხვაობა
პირველი ფასი	585,000.00	577,979.00	7,021.00
საბოლოო ფასი	585,000.00	577,979.00	7,021.00

გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „შოუ ტექნიკ ცენტრი“, რომელთანაც 2016 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 585,000.00 ლარი.

არაპროპორციული და დისკრიმინაციული საკვალიფიკაციო მოთხოვნა

მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.¹⁰

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ტენდერში მონაწილე კომპანიების გამოცდილების მიმართ მოთხოვნა ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: 2011 წლის 4 მაისიდან ტენდერის გამოცხადების დღემდე, მინიმუმ, 3,000,000.00 ლარის გამოცდილება შემდეგი მიმართულებებით:

- აუდიომოწობილობების/სისტემების გახმოვანების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები;
- განათების მოწობილობების/სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები;
- პროექცია – ვიდეომოწობილობების/სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული თითოეული მიმართულებით შესრულებული სამუშაოების ჯამი უნდა ყოფილიყო, მინიმუმ, 100,000.00 ლარი. ასევე სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორის აყვანის შესაძლებლობა.

მოცემული საკვალიფიკაციო მოთხოვნა შესყიდვის საგნის პარამეტრებთან მიმართებით არაპროპორციულია. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც სავარაუდო

⁹ SPA160016322.

¹⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

ღირებულების განსაზღვრის საფუძველია, თითოეული მომსახურების წილი მთლიან სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში შემდეგია:

ცხრილი N6. ხარჯთაღრიცხვის სტრუქტურა

N	სამუშაოების ჩამონათვალი	ღირებულება	%
1	აუდიომოწობილობების/სისტემების გახმოვანების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები	121,495.67	21%
2	განათების მოწობილობების სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები	288,338.95	49%
3	პროექცია – ვიდეომოწობილობების/სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები	49,992.65	9%
4	ლითონკონსტრუქციების მოწობილობების და სამუშაოების ჯამი	12,552.95	2%
5	სასცენო მექანიზმების და ფარდების მასალების და სამუშაოების ჯამი	83,270.36	14%
6	ელექტრო-სამონტაჟო მოწყობილობების ღირებულების და სამუშაოების ჯამი	15,081.13	3%
	სულ ჯამი:	585,000.00	

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცალკეული მიმართულების ხვედრითი წილი (9%, 49% და 21%) სამუშაოების მთლიან მოცულობაში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, სამუშაო გამოცდილების მიმართ თანაბარი მინიმალური მოთხოვნის (100,000.00 ლარი) ჩამოყალიბება არაპროპორციულია. ამასთანავე, გამოცდილების მიმართ ორი დონის შეზღუდვა: ერთი მხრივ, საკვალიფიკაციო მოთხოვნად – 3,000,000.00 ლარის (შესამოწმებელ პერიოდში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ არც ერთ სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო ტენდერში არ იყო მოთხოვნილი შესყიდვის საგნის ღირებულებაზე თითქმის 6-ჯერ მეტი გამოცდილება) მინიმალური საერთო გამოცდილების განსაზღვრა და მეორე მხრივ, თითოეული ძირითადი მიმართულების მიხედვით (რაც მთლიანი სამუშაოების 79%-ია), ჯამში – 300,000.00 ლარის გამოცდილების მინიმალური ზღვრის დაწესება შეუსაბამოა. აღნიშნული მიუთითებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების არაპროპორციულ ხასიათსა და ბუნდოვან ფორმულირებაზე, რომელმაც გაზარდა მოცემული მოთხოვნის ერთ კონკრეტულ კომპანიაზე მორგების რისკი. კონკურენციის შეზღუდვაზე მიუთითებს ასევე სატენდერო დოკუმენტაციით ქვეკონტრაქტორის მიერ სამუშაოების შესრულების შესაძლებლობის არარსებობაც, რასაც ადასტურებს მოცემული ტენდერის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის „კითხვა-პასუხის“ მოდულში ერთ-ერთი პროფილური კომპანიის გამოხმაურება.

არასწორი დისკვალიფიკაცია

შერჩევა-შეფასების ეტაპზე სატენდერო კომისიამ უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „თბილ სახლს“ მიმართა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით. სატენდერო კომისიამ კომპანიის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური

დოკუმენტაცია მიიჩნია სატენდერო მოთხოვნების მიმართ შეუსაბამოდ იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი 17,000,000.00 დოლარის შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით, დაკმაყოფილებული იყო სამი მიმართულებიდან თითოეული მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების მინიმალური ზღვრის (100,000.00 ლარი) მოთხოვნა, მაგრამ ვერ დაკმაყოფილდა გამოცდილების ჯამური მოცულობის მინიმალური ზღვრის (3,000,000.00 ლარი) მოთხოვნა და აქედან გამომდინარე, პრეტენდენტს მისცა დისკვალიფიკაცია.

შპს „თბილი სახლის“ მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში. საბჭოს გადაწყვეტილებით,¹¹ სატენდერო კომისიას დაევალა „თბილი სახლის“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება განხორციელებინა კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან სატენდერო კომისიის ოქმში არ იყო მსჯელობა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის მოთხოვნასთან, კონკრეტულად, რომელი დოკუმენტის შეუსაბამობის გამო განხორციელდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

სატენდერო კომისიამ ხელახლა განიხილა დაზუსტებული დოკუმენტაცია და 2016 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს „თბილი სახლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, კომისიამ კომპანიას გამოცდილებაში ჩაუთვალა მხოლოდ 2,532,252.03 ლარის შესრულებული სამუშაო.¹² წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იმ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებიც კომისიამ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიიჩნია, მიუხედავად ვალდებულებისა, არ იყო ასახული მიღებული გადაწყვეტილების კონკრეტული საფუძვლები.

დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ პრეტენდენტის გამოცდილებაში არ იყო ჩათვლილი 479,499.12 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოები (ვიდეოთვალთვალის მოწყობილობები – 338,609.98 ლარი, დამატებითი კამერები – 115,469.12 ლარი, უსაფრთხოების ოთახების განათება – 25,420.00 ლარი). აღნიშნულის ჩათვლის შემთხვევაში, ის სრულად დააკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 01 აგვისტოს გადაწყვეტილება შპს „თბილი სახლის“ მიერ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით.

¹² განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება-აუდიტორული მოწმობების/სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები – 322,287.56 ლარი; განათების მოწყობილობების/სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები – 1,727,936.96 ლარი; პროექცია-ვიდეოთვალთვალის/სისტემების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები – 482,027.51 ლარი.

ინტერესთა კონფლიქტი

მოცემული სამუშაოების ტექნოლოგიური პროექტის ავტორი, ფიზიკური პირი – მურმან ლომიშვილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთპიროვნული, ინდივიდუალური, გადაწყვეტილებით (ბრძანებით) მოწვეული ექსპერტის სახით ჩართული იყო სატენდერო კომისიის მუშაობაში. ის მონაწილეობას იღებდა საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების განხილვის, შერჩევის და შეფასების პროცესში, ასევე კონკრეტულ შესყიდვასთან დაკავშირებული დავის განხილვაში და ზედამხედველობას უწევდა ხელშეკრულების შესრულებას. მურმან ლომიშვილი და ტენდერში მონაწილე გამარჯვებული კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ერთობლივად ფლობდნენ შპს „მთვარის კლუბის“ 100%-იან წილს.¹³ შედეგად, აღნიშნული კომისიის წევრსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის არსებობდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით¹⁴ გათვალისწინებული ურთიერთობები, რაც ქმნიდა მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში, კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად,¹⁵ მურმან ლომიშვილს დაუყოვნებლივ უნდა განეცხადებინა აღნიშნულის თაობაზე და შეეწყვიტა მონაწილეობა შესყიდვის განხორციელებაში, რაც მას არ განუხორციელებია.

დასკვნა

მოცემული სატენდერო პროცედურები ხასიათდებოდა შემდეგი სახის ნაკლოვანებებით:

- სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტების სამუშაო გამოცდილების მიმართ, განისაზღვრა არაპროპორციული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სატენდერო კომისიამ არასამართლიანად მისცა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია;
- შესყიდვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე სატენდერო კომისიაში ექსპერტის სახით მოწვეულ პირს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი. მისი მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი ქმედება არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა ერთობლიობაში შეზღუდა კონკურენცია და შედეგად, შესყიდვის საგანზე ფასის შემცირების შესაძლებლობა. ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაციით, არაპროპორციულმა, ერთ კონკრეტულ კომპანიაზე მორგების რისკის შემცველმა საკვალიფიკაციო მოთხოვნამ და პრეტენდენტის არასამართლიანმა

¹³ შპს „მთვარის კლუბი“ (ს/კ: 205255070) გიორგი მაისურაძე – 50%, მურმან ლომიშვილი – 50%.

¹⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

დისკვალიფიკაციამ განაპირობა სატენდერო პროცედურებში მაღალი ფასის წინადადების მქონე კომპანიის გამარჯვება.

რეკომენდაცია

ჯანსაღი კონკურენციის და სატენდერო პროცედურებში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და შესყიდვის საგნის პარამეტრების მიმართ – პროპორციული. შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა ეტაპზე¹⁶ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისა და თავის არიდების მიზნით, შემუშავდეს ქმედითი კონტროლის მექანიზმები.

მივლინებები

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების განხორციელებისას, მომწვევი მხარის მიერ კვების უზრუნველყოფის შემთხვევაში, მივლინებულ პირს უნაზღაურდება სადღეღამისო ნორმის 30%.¹⁷

2015-2017 წლებში უნივერსიტეტის მიერ ქვეყნის გარეთ მივლინებული პირებისათვის ზედმეტად და ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე გაცემულია 8,780.70 ლარი. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც მომწვევმა მხარემ ანაზღაურა კვების ხარჯები, უნივერსიტეტმა ანგარიშვალდებულ პირებს კუთვნილი სამივლინებო დღიური ნორმის 30%-ის ნაცვლად, არასწორად აუნაზღაურა სრული ნორმა, რის გამო, ზედმეტად გაცემულმა თანხამ შეადგინა 5,880.70 ლარი. ამასთანავე, 2,900.00 ლარზე არ იყო წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

დასკვნა

სამივლინებო თანხების მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების შეუსაბამოდ, 2015-2017 წლებში ქვეყნის გარეთ მივლინებულ პირებზე ზედმეტად ანაზღაურდა – 8,780.70 ლარი.

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების – „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ მე-4 პუნქტი.

რეკომენდაცია

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების შემუშავებით და მათ ეფექტიან ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით, უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის გარეთ მივლინებულ პირებზე სამივლინებო თანხების კანონშესაბამისი ხარჯვა. ამასთანავე, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ზედმეტად ანაზღაურებული სამივლინებო თანხების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე აღდგენას.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2015-2017 წლებში „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით უნივერსიტეტის მიერ გაწეულია შემდეგი ხარჯები:

ცხრილი N7. ინფორმაცია წარმომადგენლობითი ხარჯების სტრუქტურის შესახებ

ხარჯის სახე	2015	2016	2017
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	18,458.72	2,590.00	11,502.99
სტუმრების მიღების, ოფიციალური სადილის, წვეულებისა და ღონისძიების ხარჯი	18,025.19	11,021.82	16,152.53
სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის ხარჯი	11,403.00	2,025.00	5,170.00
სუვენირის შეძენის/დამზადების ხარჯი	1,824.51	757.50	1,826.00
სხვა ხარჯები (თარჯიმნის მომსახურების, VIP დარბაზის მომსახურების ხარჯები)	1,740.00		
საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების ხარჯი			800.00
სულ ხარჯი:	51,451.42	16,394.32	35,451.52

უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლითაც იდენტიფიცირებული იქნებოდა ის ღონისძიება და მასში მონაწილე პირები, რომელთა მიხედვით გასწია 4,295.00 ლარის ოდენობით სასტუმროს მომსახურების ხარჯი. ასევე სტუმრების მიღების, ოფიციალური სადილის, წვეულებისა და ღონისძიების დანიშნულებით გახარჯულ 15,626.64 ლარზე არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველი.

დასკვნა

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 19,921.64 ლარის ღირებულების წარმომადგენლობითი ხარჯების კანონშესაბამისობის შესახებ.

რეკომენდაცია

- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავდეს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის საერთო წესი, სადაც აღწერილი იქნება მოცემული ხარჯის თითოეული ელემენტის მიხედვით პროცესები და კონტროლის მექანიზმები. გამოცდილების და სანიმუშო პრაქტიკის გათვალისწინებით, დადგინდეს ცალკეული სახის ხარჯების ზედა ზღვარი, რომელიც რანჟირებული იქნება სტუმრის სტატუსის, ღონისძიების მნიშვნელობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;
- თითოეული წარმომადგენლობითი ღონისძიების მიხედვით, შედგენილ იქნეს დეტალური ე.წ. პროტოკოლი და მოხდეს ამ პროტოკოლის მიხედვით გაწეული ღონისძიებების იდენტიფიცირება-დოკუმენტირება, რათა მიღწეულ იქნეს მოცემული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული ხარჯების რაციონალურ და კანონშესაბამის ხარჯვაზე გონივრული რწმუნების მიღება.

საწვავი

შესამოწმებელ პერიოდში უნივერსიტეტის მიერ გაიხარჯა 32,235.56 ლარის ღირებულების 20,177.56 ლიტრი საწვავი. შესამოწმებელ პერიოდში ლიმიტს ზემოთ, დადგენილი წესის შეუსაბამოდ, გახარჯულია 3,703.28 ლარის ღირებულების 2,274.23 ლიტრი საწვავი.

დასკვნა

არაეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შედეგად გაზრდილია საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის რისკები.

რეკომენდაცია

ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების დანერგვით, უზრუნველყოფილ იქნეს საწვავის ხარჯვის მიზნობრიობა და შესაბამისობა.

კონტროლის სისტემები

ინვენტარიზაცია

უნივერსიტეტში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია 2015-2016 წლებში არ ჩატარებულა.¹⁸ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით,¹⁹ 2017 წლის ბოლოს, 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რომლის დროსაც არ განხორციელებულა შენობა-ნაგებობების, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო ფონდების ფაქტობრივი ნაშთების აღწერა. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 15 ერთეული 3,730.00 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის და 36 ერთეული 23,472.38 ლარის ძირითადი აქტივის დანაკლისი. ინვენტარიზაციის პროცესი ხასიათდებოდა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ იყო გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება სრულ ინდივიდუალურ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე აქტივების დასახელებით;²⁰
- საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ განხორციელებულა მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისგან შესაბამისი განმარტებების წერილობით მოთხოვნა-მიღება;²¹
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არ გაუფორმებია შესაბამისი ოქმი, სადაც ნათლად გამოიკვეთებოდა დანაკლისების მიზეზები, დამნაშავე პირები და გასატარებელი ღონისძიებები;²²

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁹ სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 ოქტომბრის N149/2-02 ბრძანება „უნივერსიტეტის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზნით ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის“ 70-ე მუხლის მე-6 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ პირველი მუხლი, დანართის ფორმა N022.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები.

- ხელმძღვანელობას დანაკლისზე ბრალეული პირის დადგენის მიზნით, არ გადაუგზავნია მასალები სამართალდამცავ ორგანოებში.²³

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით და თანდასწრებით, შერჩევით, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა კინო-ტელე ფაკულტეტის სასწავლო სტუდიის (შემდგომ – სასწავლო სტუდია) და თეატრის აღჭურვისა და მოწყობის სამუშაოების²⁴ ფარგლებში შესყიდული ფასეულობები. ინვენტარიზაციით გამოვლინდა შემდეგის სახის კონტროლის სისუსტეები:

- ბალანსზე რიცხულ არაფინანსურ აქტივებზე არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები,²⁵ ასევე არაფინანსური აქტივების ნაწილს არ ჰქონდა მინიჭებული საინვენტარო ნომერი (რაც ინვენტარიზაციის პროცესში გამოსწორდა) და არსებული რეესტრის მონაცემებში არ იყო მითითებული მათი ზუსტი ადგილმდებარეობა;²⁶
- ზოგიერთი ფასეულობის მიხედვით, მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე მათი გადაცემის ფაქტზე არ იყო შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი;
- შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 1,649.00 ლარის ღირებულების 2 ერთეული ძირითადი აქტივის (ტელევიზორი და პორტატული აუდიო-ვიდეოჩამწერი კამერა) დანაკლისი, რასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წერილობით²⁷ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს.

სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება

2006-2009 წლებში შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, უნივერსიტეტს სახელმწიფოსაგან უზუფრუქტის ფორმით განსაკარგავად გადმოეცა უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობდა ქ. თბილისში, ოთხ მისამართზე, კერძოდ: შოთა რუსთაველის გამზირის N17-ში, N19-სა და N23-ში და დავით აღმაშენებლის გამზირის N40-ში.

²³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-9 პუნქტი.

²⁴ იხ. გვ. 16.

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის“ 145-ე მუხლის მე-3 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ პირველი მუხლი, დანართის ფორმა Nძა-2.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁷ სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 02 ოქტომბრის N852/01-17 წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს.

ცხრილი N8. უნივერსიტეტზე განსაკარგავად გადაცემული უძრავი ქონება

მისამართი	საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობები	მიწის ნაკვეთები
რუსთაველის გამზ. N17	01.15.04.07.018	1,307.57 კვ.მ	536 კვ.მ
რუსთაველის გამზ. N19	01.15.04.017.009	4,319.24 კვ.მ	1,695 კვ.მ
რუსთაველის გამზ. N23	01.15.04.017.002	1,139.82 კვ.მ	346.39 კვ.მ
აღმაშენებლის გამზ. N40	01.16.05.022.008	5,070.6 კვ.მ	2,199 კვ.მ

უნივერსიტეტის მიერ შპს „გეოდეზი 2007-თან“ გაფორმებული ხელშეკრულების²⁸ საფუძველზე შესრულებული აზომვითი ნახაზის შედეგად, გამოვლინდა არსებითი შეუსაბამოები რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა-ნაგებობის ფართთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ უზუფრუქტის ხელშეკრულებების საფუძველზე გადაცემული შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 6,766.63 კვ.მ-ს შეადგენდა. აღნიშნული თანხვედრაშია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ამონაწერებთან, ხოლო ფაქტობრივად, აზომვითი მონაცემებით, რუსთაველის გამზირზე, სამ საკადასტრო ერთეულზე გადანაწილებული შენობა-ნაგებობების ჯამური ფართობი, რასაც უნივერსიტეტი შესამოწმებელ პერიოდში განკარგავდა და ნაწილობრივ იყენებდა ეკონომიკური საქმიანობისათვის, შეადგენს – 7,919.46 კვ.მ-ს.

ცხრილი N9. შენობა-ნაგებობების მონაცემების შედარება

მისამართი	საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობის ფართობი უფლებადამდგენი დოკუმენტის მიხედვით (კვ.მ)	შენობა-ნაგებობის ფართობი შპს „გეოდეზი 2007-ის“ აზომვითი ნახაზის მიხედვით (კვ.მ)	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5
რუსთაველის გამზ. N17	01.15.04.07.018	1307.57	1610.92	303.35
რუსთაველის გამზ. N19	01.15.04.017.009	4319.24	5181.17	861.93
რუსთაველის გამზ. N23	01.15.04.017.002	1139.82	1127.37	-12.45
ჯამი:		6766.63	7919.46	1152.83

დავით აღმაშენებლის გამზირის N40-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 6,538.67 კვ.მ-ს შეადგენს. 2009 წლის 4 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნივერსიტეტს სარგებლობის უფლებით გადმოეცა 4,858.45 კვ.მ, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული განახლებული ამონაწერის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მისამართზე უნივერსიტეტის უზუფრუქტის უფლება ვრცელდება 5,070.60 კვ.მ-ზე. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება, რის საფუძველზე განხორციელდა უზუფრუქტის უფლების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება –

²⁸ 2018 წლის 02 მარტის N03/006 ხელშეკრულება.

დამატებით 212.15 კვ.მ-თან დაკავშირებით. ამასთანავე, მე-2 კორპუსის ტერიტორიაზე²⁹ განთავსებულია შენობა-ნაგებობა N2 (საქვაზე), რომელიც არ დატანილა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვაზე და ფინანსურ ანგარიშგებაშიც არ იყო აღრიცხული.

ე.წ. „ფარული სამუშაოები“

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში (კონტრაქტის ღირებულება – 2,514,031.88 ლარი), ე.წ. „ფარული სამუშაოების“ გარკვეულ ნაწილზე შედგენილია დაუთარილებელი შესრულების აქტები (მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების დაახლოებით 15%), ხოლო ნაწილზე საერთოდ არ არის შედგენილი აღნიშნული აქტები. ფარული სამუშაოების ფაქტობრივი შესრულების დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ უშუალოდ სამუშაოების განხორციელების პროცესში, რომელსაც უნდა ესწრებოდეს შემსყიდველის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, კონტროლის მექანიზმის არარსებობა ან არაეფექტიანობა ზრდის თაღლითობის რისკებს.

შრომის ანაზღაურება

უნივერსიტეტში არ ხორციელდებოდა სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა (ტაბელის წარმოება), თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების და სამსახურიდან გასვლის აღრიცხვის მიზნებისათვის არ გამოიყენებოდა სპეციალური ტექნიკური საშუალება და არ წარმოებდა სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი, რაც მოქმედი კანონმდებლობით³⁰ ხელფასის დარიცხვის ერთ-ერთი საფუძველია.

შესამოწმებელ პერიოდში ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და არანორმირებული გრაფიკით სამუშაოს შესრულების საფუძველით გაცემული იყო დანამატი. უნივერსიტეტში არ არსებობდა ზეგანაკვეთური სამუშაოს და არანორმირებული გრაფიკით სამუშაოს შესრულების აღრიცხვის და დადასტურების მექანიზმი, შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოცემულ ფაქტს.

4 პირის მიხედვით, რომელთაგანაც უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა შრომითი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებები, წარმოდგენილი მტკიცებულებებით და ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით არ დასტურდება მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი საქმიანობის განხორციელების ფაქტი.

²⁹ ს/კ: 01.16.05.022.008.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის“ 72-ე მუხლის მე-18 პუნქტი.

თეატრისა და კინოს ენციკლოპედიები

უნივერსიტეტის თეატრის, კინოს, მედიის, მენეჯმენტისა და ტრადიციულ ხელოვნებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ (შემდგომ – ინსტიტუტი) ქართული თეატრის ენციკლოპედიაზე (შემდგომ – თეატრის ენციკლოპედია) და ქართული კინოს ენციკლოპედიაზე (შემდგომ – კინოს ენციკლოპედია) მუშაობა დაიწყო 2007 წლიდან. 2008 წელს ინსტიტუტს დაევალა ენციკლოპედიების გამოცემა 2 წლის განმავლობაში, რაც დადგენილ ვადაში ვერ განხორციელდა. 2010 წლის რეორგანიზაციის შედეგად, ინსტიტუტი გაუქმდა და ენციკლოპედიებზე მუშაობა შეჩერდა.

რექტორის ბრძანებით,³¹ 2011 წელს შეიქმნა ქართული თეატრის ხელოვნებისა და ქართული კინოს ხელოვნების კვლევითი ცენტრი (შემდგომ – ცენტრი), რომელსაც დაევალა ენციკლოპედიებზე მუშაობის განახლება და დასრულება კონკრეტული ვადების განსაზღვრის გარეშე. აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილებებით,³² ენციკლოპედიების საბოლოოდ რედაქტირების და დასაბეჭდად მომზადების ვადები კინოს ენციკლოპედიის შემთხვევაში, განისაზღვრა 2015 წლის 16 თებერვლამდე, ხოლო თეატრის ენციკლოპედიის შემთხვევაში – 2015 წლის 1 ივლისი. ამ შემთხვევაშიც ვერ შესრულდა სამუშაო დადგენილ ვადებში.

მიუხედავად იმისა, რომ ენციკლოპედიებზე მუშაობა არ იყო დასრულებული, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპრეზენტაციოდ, სამსახურებრივი მოხმარებისთვის, დაჩქარებული წესით გამოიცა ენციკლოპედიების განსაზღვრული (10 ეგზემპლარი, თითოეული – 2 ტომად) რაოდენობა.

დადგინდა, რომ სასიგნალო ეგზემპლარები არ იყო დასრულებული, კერძოდ, თეატრის ენციკლოპედია მთავრდება „კ“ ასოზე. ასევე 2017 წელს მთავარ სამეცნიერო კონსულტანტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, მას ევალებოდა თეატრის ენციკლოპედიის ტექსტის შემოწმება და გადამუშავება. ფაქტობრივად, თეატრისა და კინოს ენციკლოპედიები დასრულებული არ არის და მათზე მომუშავე (2007 წლიდან 2015 წლამდე) თანამშრომლებზე ხელფასის სახით ჯამში გაიცა 418,905.00 ლარი.

უნივერსიტეტმა სათანადოდ არ შეისწავლა და არ დაგეგმა ენციკლოპედიების გამოცემასთან დაკავშირებული ღონისძიებები. დაგეგმვის პრობლემებზე მიუთითებს

³¹ უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 06 ოქტომბრის N93/2 ბრძანება „ქართული თეატრის ხელოვნებისა და ქართული კინოს ხელოვნების კვლევითი ცენტრის შექმნის და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ“.

³² უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 03 დეკემბრის სხდომის N14 დადგენილება და 2014 წლის 10 დეკემბრის N15 დადგენილება.

გამოცემისთვის განსაზღვრული ვადების ხშირი ცვლილება. ამასთანავე, მიზანი ვერ იქნა მიღწეული (ენციკლოპედიები საბოლოო სახით არ გამოცემულა), რაც მიუთითებს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ ხარჯვაზე.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ბონდო გასვიანი

წამყვანი აუდიტორი

ხელმოწერა

ალექსანდრე ასათიანი

აუდიტორი

ვიქტორია არუთინოვი

აუდიტორი

